



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ**

უკრედიტო ნეირომეცნიერება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი(ებ)ი

4.10.2017

დასკვნის წარდგენის თარიღი

22.12.2017

თბილისი

2017

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	უჯრედული ნეირომეცნიერება
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა დოქტორი 0504
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ღაჭავაძე – სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ჯაფოშვილი – ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ენტომოლოგიის ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ბილანიშვილი – სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილის ის სახელმწიფო უნივერსიტეტი , საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო პროგრამა „უჯრედული ნეირომეცნიერება“ შემუშავებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე. პროგრამის მიზანია მაღალინფორმაციული მიდგომების გამოყენებით მოამზადოს ახალი თაობის მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ ახალი ცოდნის შექმნას უჯრედული ნეირომეცნიერების დარგში და მზად იქნებიან წარმატებული კარიერისთვის უნივერსიტეტებში, სამეცნიერო ცენტრებსა და ინდუსტრიაში. პროგრამის ხანგრძლივობა 3-5 წელია (6-10 სემესტრი) და მოცულობა 180 კრედიტი (60 კრედიტი სასწავლო, ხოლო 120 კრედიტი კვლევითი კომპონენტი). პროგრამაზე სწავლების ენა ქართულია. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა დოქტორის კვალიფიკაცია. პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტი, ბიბლიოთეკა, ელექტრონული რესურსები, სააუდიტორიო სივრცე და კომპიუტერული რესურსი, პროგრამული პაკეტები - Turnitin, Moodle, არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“ და კვლევითი კომპონენტის განხორციელების მიზნით მემორანდუმი ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრთან). პროგრამაში ჩართულია მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის უცხოელი პერსონალი. პროგრამა ფინანსდება სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) ბიუჯეტით და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტით №DP2016_17.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2017 წლის 4 ოქტომბერს (ცენტრის დირექტორის ბრძანება 28.09.2017, №624). უჯრედული ნეირომეცნიერების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ფაკულტეტის დეკანთან და პროგრამასთან ბმაში მყოფ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც ჩართული იყვნენ პროგრამის შექმნაში და მომავალში უზრუნველყოფენ მის განხორციელებას. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა ახალია და შესაბამისად ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა პროგრამის სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან გასაუბრება, ამ მიზეზით ვერ განხორციელდებოდა პროგრამისათვის ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ განხორციელება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრა

ფაკულტეტზე მოქმედი სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დამსაქმებელს – ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის დირექტორს. Skype-ით განცხორციელდა გასაუბრება პროგრამაში ჩართულ უცხოელ პროფესორთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ასევე განხილულ იქნა სადოქტორო პროგრამების აბსტრაქტები და შედგა გასაუბრება სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთან. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს პროგრამის განვითარებისთვის შესთავაზა რამდენიმე რჩევა.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის და სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შედეგად დადგინდა უჯრედული ნეირომეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

პროგრამა აკმაყოფილებს:

პირველი სტანდარტის ხუთივე კომპონენტის მოთხოვნებს და 1.2. კომპონენტში გაცემულია არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის;

მეორე სტანდარტის ხუთივე კომპონენტის მოთხოვნებს და აქაც, 2.1. კომპონენტში გაცემულია არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის;

მე-3 სტანდარტის ოთხივე კომპონენტის მოთხოვნებს;

მე-4 სტანდარტის ხუთივე კომპონენტის მოთხოვნებს და მე-5 სტანდარტის ორი კომპონენტის მოთხოვნებს.

პროგრამის განვითარებისთვის სავალდებულო რეკომენდაციები ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული არ არის. პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან.

▪ **რეკომენდაციები - არ არის**

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კურიკულუმში სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ფორმულირებაში - „მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ბიოლოგიაში ან მონათესავე დარგში, ან მედიცინის დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი“ დაემატოს - მონათესავე დარგების ჩამონათვალი.

სასწავლო კომპონენტში კვლევითი სემინარი II-ის არჩევით კომპონენტად გადაკეთება, „სწავლებისა და შეფასების სტრატეგიის“ სავალდებულოდან არჩევით საგნად გადაკეთება, არჩევითი კომპონენტების სახით, „მოლეკულური ნეირობიოლოგიის“ და „სტატისტიკის“ დამატება.

ქართული ლიტერატურის არ არსებობის გამო, პედაგოგების მიერ მოხდეს სტუდენტების უზრუნველყოფა სალექციო მასალით, ამასთან, ჩატარდეს ინტენსიური სამუშაოები ქართულენოვანი ლიტერატურის შესაქმნელად.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში) - არ არის
- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - არ არის

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა გახდეს მსოფლიო დონის კვლევითი უნივერსიტეტი, რომელიც თავის სტუდენტებს მისცემს ღირებულ ცოდნას, შეუქმნის აღიარებულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ სასწავლო გარემოს, ხელს შეუწყობს კრიტიკული, ანალიტიკური, ეთიკური, შემოქმედებითი უნარების განვითარებას სტუდენტებში და შექმნის ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებას, რომელიც მზად იქნება, ღირსეულად უპასუხოს 21-ე საუკუნის გამოწვევებს. თუ უჯრედული ნეირომეცნიერების სადოქტორო პროგრამის მიზანს გადავხედავთ, ის შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, და ორიენტირებულია მაღალინფორმაციული მიდგომების გამოყენებით მოამზადოს ახალი თაობის მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ ახალი ცოდნის შექმნას უჯრედის ნეირომეცნიერების დარგში და მზად იქნებიან წარმატებული კარიერისთვის უნივერსიტეტებში, სამეცნიერო ცენტრებსა და ინდუსტრიაში.

პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე მოხდება უჯრედული ნეირომეცნიერების დარგში ახალი ცოდნის გენერირება, მისი დისემინაცია საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციების სახით.

პროგრამა ორიენტირებულია საერთაშორისო კოლაბორაციული ქსელის შექმნაზე (აშშ-ს და ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში უჯრედული ნეირომეცნიერების მინიმუმ ერთი ახალი მეთოდის დანერგვაზე.

პროგრამა ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე, რაც დასტურდება დამსაქმებელთან მჭიდრო თანამშრომლობით და მისი აქტიური ჩართულობით პროგრამის შექმნასა და განხორციელებაში.

სადოქტორო პროგრამას, მიზნებიდან გამომდინარე, მახრდაჭერას უცხადებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და გეგმავს პროგრამის განხორციელებაში აქტიურ ჩართვას.

პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და მიღწევადია პროგრამის როგორც სასწავლო ისე კვლევით კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამა დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ (პროექტი N DP2016_17).
- მხარდაჭერის წერილი
- ინტერვიუ სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არის

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა „უჯრედული ნეირომეცნიერება“ მოიცავს 180 კრედიტს და შედგება ორი საგანმანათლებლო კომპონენტისგან – 60 კრედიტი სასწავლო კომპონენტი და 120 კრედიტი კვლევითი კომპონენტი. თითოეული კომპონენტი თავისი შინაარსით, სწავლების

მეთოდებით და კრედიტების მოცულობით უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სასწავლო კომპონენტი აერთიანებს სადოქტორო სემინარებს I და II (12 კრედიტი), კვლევით სემინარებს I და II (12 კრედიტი), 6 კრედიტიან სავალდებულო კურსებს („სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები“ და „გლიური უჯრედების ნეირობიოლოგია“), სავალდებულო არჩევით კურსებს („ნანომედიცინის ძირითადი მიდგომები“ და „სტრუქტურული ნეირომეცნიერება“), არჩევითი კურსებს („ნეირონის აღნაგობა სხვადასხვა ნევროლოგიური პათოლოგიების დროს“ და „მიტოქონდრიული დისფუნქციები და პათოლოგიური პროცესები“), ასევე 12 კრედიტიან ასისტირებას. კვლევითი კომპონენტის 120 კრედიტი სადოქტორო ნაშრომს ეთმობა.

სადოქტორო სემინარების ფარგლებში დოქტორანტები პროსპექტუსზე მუშაობენ ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელებთან ერთად და პროსპექტუსის მონახაზი მუშავდება სადოქტორო პროგრამაზე მიღების განაცხადში წარდგენილი სადოქტორო კვლევითი განაცხადის საფუძველზე. სემინარის განმავლობაში დოქტორანტები: განსაზღვრავენ საკვლევ საკითხს/პრობლემას სადისერტაციო კვლევისთვის; აკეთებენ რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც მოიცავს შერჩეული საკითხის/პრობლემის შესახებ კვლევებზე დაფუძნებულ უახლესი ცოდნის, გამოყენებული კვლევის მეთოდების, მიდგომების და კონცეფციების ანალიზს/სინთეზს და შეფასებას; ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე განსაზღვრავენ ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას და აყალიბებენ კვლევის მიზანს, საკვლევ კითხვას/ებს (საჭიროების შემთხვევაში ჰიპოთეზას) და აყალიბებენ კვლევის მეთოდოლოგიას (კვლევის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბების პროცესის კონსულტირებას უწევენ პროგრამაში ჩართული მეთოდოლოგიური კურსების პროფესორები/ლექტორები); ადგენენ ბიბლიოგრაფიას და აყალიბებენ კვლევის გეგმას. სადოქტორო სემინარების სერია სრულდება პროსპექტუსის წარდგენით და მისი დაცვით დოქტორანტის მიერ სწავლების მეორე სემესტრის ბოლოს. დოქტორანტი იცავს პროსპექტუსს დარგობრივი კომისიის წინაშე.

სადოქტორო სემინარების გავლის შემდეგ დოქტორანტს განუვითარდება შემდეგი კომპეტენციები: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის გაკეთების, კომუნიკაციისა და სწავლის უნარი.

კვლევითი სემინარების სერია უზრუნველყოფს კვლევითი პროცესის სისტემატიზაციას და მის შედეგზე ორიენტირებულობას. მისი მიზანია კვლევის გეგმის შესაბამისი კვლევითი პროცესის განხორციელება და, შესაბამისად, საკვლევ პრობლემის/საკითხის კვლევასთან დაკავშირებული, უახლეს მიღწევაზე დამყარებული ცოდნის და უნარების განვითარება. კვლევითი სემინარის ერთ-ერთ აქცენტს წარმოადგენს კვლევითი პროცესების შეფასება, საჭიროებების განსაზღვრა და შემდგომი დაგეგმვა. კვლევითი სემინარების ფარგლებში დოქტორანტები მუშაობენ პროსპექტუსით გათვალისწინებულ საკვლევ საკითხებზე/თემებზე ხელმძღვანელთან/ელებთან ერთად, რომლებიც არიან ჩართული სადოქტორო პროგრამაში ან/და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებთან

მომიჯნავე დარგებიდან. კვლევითი სემინარების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების მიმდინარეობა აისახება დოქტორანტების პროგრესის ანგარიშებში.

პროგრამის სასწავლო კომპონენტში ჩადებული კურსების მიზანია დარგში უახლესი სამეცნიერო ცოდნის დაგროვება.

ასისტირება სადოქტორო პროგრამის ის კომპონენტია, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ჩართულობას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში. პროგრამით გათვალისწინებულია როგორც სწავლების, ასევე კვლევის ასისტირება. სწავლების ასისტირების შემთხვევაში დოქტორანტი აკადემიური კურსის პროფესორს უწევს ასისტირებას, დამოუკიდებლად ახორციელებს აკადემიური კურსის კომპონენტს და ატარებს სალექციო/სასემინარო კურსს. კვლევის ასისტირების დროს დოქტორანტი შესაბამისი მიმართულების საბაკალავრო/სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს უწევს კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობას/თანახელმძღვანელობას, რეცენზირებას. დოქტორანტს შეიძლება მიეცეს შესაძლებლობა, ჩაერთოს უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევით პროცესებში და ამ მიზნით განახორციელოს ისეთი აქტივობები, როგორც არის ლიტერატურის მოძიება, კვლევის ახალი მეთოდების შემუშავება და პილოტირება, მონაცემების შეგროვება და ანალიზი და ა.შ.

სწავლების ასისტირების კომპონენტის შესრულებამდე დოქტორანტს გავლილი უნდა ჰქონდეს სასწავლო კურსი „სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები“. კვლევის ასისტირებაში ჩართვამდე დოქტორანტს დაცული უნდა ჰქონდეს პროსპექტუსი. ასისტირების კომპონენტის ეფექტური დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით ყოველსემესტრულად დგინდება დოქტორანტის ასისტირების გეგმა, რომელიც წარედგინება დარგობრივ კომისიას. ასისტირების აქტივობებში კრედიტების მინიჭება ხდება შეფასების შესაბამისი ფორმის წარდგენის საფუძველზე.

სასწავლო და კვლევითი ასისტირების შედეგად სტუდენტს გამოუმუშავდება შემდეგი უნარ-ჩვევები: აკადემიური სწავლების პროცესის ეფექტურად დაგეგმვა და განხორციელება; კვლევითი პროცესების სუპერვიზია; კვლევის შეფასება (რეცენზირება); აკადემიური სწავლების პროცესში დროის ეფექტური მართვა; სწავლებაში და კვლევაში საკუთარი აკადემიური საქმიანობის დამოუკიდებლად შეფასება, ანალიზი და მისი გაუმჯობესებისთვის საჭიროებების/შესაძლებლობების განსაზღვრა.

სადოქტორო ნაშრომი იქმნება სადოქტორო პროგრამის განმავლობაში და მისი მიზანია, გამოავლინოს დოქტორანტის მიერ უახლეს მიღწევებზე დამყარებული საკვლევო პრობლემის/საკითხის ცოდნა, მისი უნარი გააცნობიეროს ახალი ცოდნის შექმნის შესაძლებლობები და საკვლევო მიმართულებით არსებული ცოდნის გაფართოების პერსპექტივები. ნაშრომი ასევე მიზნად ისახავს განავითაროს დოქტორანტის მიერ ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი. მნიშვნელოვანია, რომ სადოქტორო ნაშრომის საშუალებით დოქტორანტს აქვს შესაძლებლობა სამეცნიერო კომუნიკაციის ნორმების დაცვით წარადგინოს კვლევის შედეგები და დაასაბუთოს ახალი ცოდნის მნიშვნელობა საკვლევო მიმართულების განვითარებაში. სადოქტორო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის შედეგია დოქტორანტში

ექსპრესივე კომპეტენციის (ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის გაკეთების, კომუნიკაციის, სწავლის უნარები და ღირებულებები) განვითარება. უნდა აღინიშნოს, რომ სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის შინაარსი, სწავლების მეთოდები, თითოეული კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს როგორც სასწავლო, ისე კვლევით კომპონენტში დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის განვითარებისთვის შეთავაზებულ იქნა რამდენიმე არასავალდებულო ხასიათის რჩევა, კერძოდ, სასწავლო კომპონენტში სავალდებულო კურსების არჩევითად გადაკეთებასთან („კვლევითი სემინარი II“-ის არჩევითად გადაკეთება, „სწავლებისა და შეფასების სტრატეგიის“ სავალდებულოდან არჩევით საგნად გადაკეთება) და ახალი არჩევითი კურსების დამატებასთან („მოლეკულური ნეირობიოლოგია“ და „სტატისტიკა“) დაკავშირებით. რჩევების გაცემის მიზეზები: პროგრამაში ჩადებულია სავალდებულო სადოქტორო სემინარი I და II, კვლევითი სემინარი I და II (სულ 24 კრედიტი. თითოეული 6 კრედიტი), აქედან კვლევითი სემინარი II-ის არჩევითად გადაკეთების შემთხვევაში თავად დოქტორანტი გადაწყვეტს რამდენად სჭირდება მას 24 კრედიტის ოდენობის სემინარული მუშაობები ცოდნაზე დაფუძნებული პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის; საგანი „სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები“ შეიძლება იყოს არჩევითი და არა სავალდებულო, რადგან პროგრამის მიზანია ახალი თაობის მკვლევარის მომზადება და დოქტორანტს უნდა მივცეთ არჩევანის გაკეთების უფლება, ფლობდეს სწავლებისა და შეფასების სტრატეგიებს თუ ცოდნა გაიღრმავოს სპეციალობაში; რადგან პროგრამის მიზანია დოქტორანტმა შეძლოს ახალი ცოდნის შექმნა უჯრედის ნეირომეცნიერების დარგში, სასურველი იქნებოდა სპეციალობაში არჩევითი საგნების დამატება („მოლეკულური ნეირობიოლოგია“); კვლევებით მიღებული მონაცემების დამუშავებისთვის დოქტორანტი უნდა ფლობდეს სტატისტიკურ მეთოდებს, ამიტომ სასურველი იქნებოდა არჩევით საგნად „სტატისტიკის“ დამატება. კარგი იქნება შეთავაზებული რჩევების გათვალისწინება მომავალში პროგრამის განვითარებისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის შინაარსი, სწავლების მეთოდები, თითოეული კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, იმ სახით როგორც ის წარმოდგენილია აკრედიტაციისთვის, უზრუნველყოფს როგორც სასწავლო, ისე კვლევით კომპონენტში დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესორულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი - დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ (ოქმი N12; 20.11.2015, ოქმი N23; 27.09.2016, ოქმი N25; 01.12.2016).
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება

○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასწავლო კომპონენტში კვლევითი სემინარი II-ის არჩევით საგნად გადაკეთება, „სწავლებისა და შეფასების სტრატეგიის“ სავალდებულოდ არჩევით საგნად გადაკეთება, არჩევით სასწავლო კომპონენტების სახით „მოლეკულური ნეირობიოლოგიის“ და „სტატისტიკის“ დამატება. კარგი იქნება შეთავაზებული რჩევების გათვალისწინება მომავალში პროგრამის განვითარებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები ურთიერთდაკავშირებულია. ამ კომპონენტების ერთობლიობა, სასწავლო კომპონენტის შემადგენელი სემინარებისა და სპეციალობის საგნების თანმიმდევრობა და სწორად დაგეგმილი კვლევით კომპონენტი, უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, რაც მოთხოვნილია ეროვნული საკალიფიკაციო ჩარჩოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერის მიხედვით.

პროგრამა უზრუნველყოფს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ახალი ცოდნის შექმნას უჯრედული ნეირომეცნიერებების დარგში, რაც იძლევა არსებული ცოდნის გაფართოებისა და ხელახალი გააზრების, ნაწილობრივ გადაფასების, ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერების საშუალებას.

პროგრამის კომპონენტების ათვისებით დოქტორანტი შეძლებს უჯრედული ნეირომეცნიერების დარგში აქტუალური საკვლევი საკითხების შერჩევას, ჰიპოთეზის ფორმულირებას, კვლევითი სტრატეგიის განსაზღვრას, კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას და განხორციელებას, ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავებას და ახალი ცოდნის ვალიდობის დადასტურებას საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი - დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ (ოქმი N12; 20.11.2015, ოქმი N23; 27.09.2016, ოქმი N25; 01.12.2016)
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არის

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას ადგილობრივ და საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე. პროგრამა ორიენტირებულია მაღალინფორმაციული ნანობიოლოგიური და ელექტრონულ - მიკროსკოპული მიდგომების გამოყენებით, ახალი თაობის მკვლევარების მომზადებაზე. საქართველოში რიგი ასეთი მეთოდების ათვისება, ამჟამად მხოლოდ აღნიშნული პროგრამის ფარგლებშია შესაძლებელი. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და ინოვაციური სადოქტორო კვლევითი პროექტების განხორციელებას უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული მაღალკვალიფიცირებული აკადემიური პერსონალი, ასევე უცხოელი მაღალკვალიფიცირებული კონსულტანტები - ნანომეცნიერები აშშ-დან და შვეიცარიიდან. კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო და დასაქმების ბაზარზე ასევე განსაზღვრავს ისე გარემოებაც, რომ პროგრამის ფარგლებში სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას მათ საშუალება ექნებათ თანამედროვე კვლევით სტრატეგიებს გაეცნონ და კვლევის ნაწილი ჩაატარონ უცხოეთის თანამედროვე ნანობიოლოგიურ ლაბორატორიებში.

სადოქტორო პროგრამის კომპონენტი - ასისტირება უზრუნველყოფს დოქტორანტის ჩართულობას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში. ეს კომპონენტი ემსახურება სწავლებასთან დაკავშირებული უნარების განვითარებას და მისი გავლა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის წარმატებულ კარიერას უმაღლესი განათლების სფეროში.

დაწესებულების მიერ განხორციელებული სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები თვლიან, რომ დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანი არიან და ეს პროგრამის ეფექტურობის, მათი პროგრამის ფარგლებში განვითარებული უნარებისა და შეძენილი ცოდნის დამსახურებაა. სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ ისინი დასაქმდნენ როგორც მკვლევარები, მეცნიერ თანამშრომლები საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მოლეკულური გენეტიკის ლაბორატორიაში, ივ. ზერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში, სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში მოლეკულური გენეტიკის ლაბორატორიაში. მათი უმეტესობა აგრძელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და კვლევის შედეგებს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში აქვეყნებს.

დასაქმების ბაზარზე სადოქტორო პროგრამის „უჯრედული ნეირომეცნიერება“ ორიენტულობის გასაზრდელად მოხდება კურსდამთავრებულთა რეგულარული გამოკითხვა და ამ გამოკითხვებით, დადგინდება თუ რამდენად ეფექტურია პროგრამა, ასევე დადგინდება კურსდამთავრებულთა შეხედულებები/კმაყოფილება პროგრამის

ფარგლებში განვითარებული უნარების და შეძენილი ცოდნის შესახებ, რაც ხდის მათ კონკურენტუნარიანს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დამსაქმებელთან ერთად მხარდაჭერას უცხადებს პროგრამას და მზადაა შექმნას ყველა პირობა იმისთვის, რომ სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები იყოს მიღწეული და პროგრამის კურსდამთავრებული იყოს კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის კითხვარი ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ივ.ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრთან
- მხარდაჭერის წერილი
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნირო ფონდის პროექტი №DP2016_17
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, დამსაქმებელთან, კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არის

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების განსაზღვრის და მისი განვითარების მექანიზმი, რომელიც ემყარება აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების გამოკითხვებს. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ადმინისტრაციასთან ერთად ადგენს პროგრამის განხორციელების და შემდგომი განვითარების სტრატეგიულ გეგმას და აქტიურად ერთვება მის განხორციელებაში.

დამსაქმებელი აქტიურად თანამშრომლობს როგორც პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან, ასევე დოქტორანტთან. დამსაქმებელი ადგენს თანამშრომლობის სტრატეგიას, რომელიც ითვალისწინებს სადოქტორო პროგრამის ექსპერიმენტული ნაწილის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და კვლევის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებით შეუფერხებელ უზრუნველყოფას. დამსაქმებელი მზადაა დაასაქმოს პროგრამის კურსდამთავრებულები (პროგრამა ყოველწლიურად მიიღებს 3-5 დოქტორანტს).

დოქტორანტების და კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის შემდგომ განვითარებაში გულისხმობს მათ სისტემატურ გამოკითხვებს, რომელიც ემსახურება პროგრამის სასწავლო, კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტების ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას.

გამოკითხვები უზრუნველყოფს პროგრამით დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ეფექტური გადაწყვეტილების მიღება პროგრამის განვითარებისა და მისი შედეგების განსაზღვრის პროცესში.

პროგრამის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობს პროგრამაში ჩართული უცხოელი კონსულტანტები - ნანომეცნიერები აშშ-დან და შვეიცარიიდან. დოქტორანტები სადოქტორო ნაშრომების გარკვეულ ნაწილს შეასრულებენ უცხოელი კონსულტანტების ხელმძღვანელობით მათსავე ლაბორატორიებში შესაბამის უნივერსიტეტებში.

პროგრამის შექმნაში აქტიურად იყო ჩართული ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, როგორც დამსაქმებელი. ცენტრის რჩევა და მოთხოვნა იყო დოქტორის ხარისხის მქონე მკვლევარების მომზადება, რომლებიც ფლობენ თანამედროვე ცოდნასა და თანამედროვე კვლევის მეთოდებს ნეირომეცნიერებებში. აღნიშნული გაითვალისწინა პროგრამის ხელმძღვანელმა პროგრამის შექმნაში მონაწილე აკადემიურ პერსონალთან ერთად და პროგრამის სასწავლო კომპონენტში ჩადო სასწავლო კურსები, რომლებიც თანამედროვე ცოდნასა და კვლევის თანამედროვე მეთოდების სწავლებაზეა ორიენტირებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფაკულტეტის და აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმები. ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის კანცელარიაში და ფაკულტეტებზე
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარები სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებისთვის და დამსაქმებლებისთვის. ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის დებულება.
- შიდასაუნივერსიტეტო არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“
- მხარდაჭერის წერილი
- პროგრამა დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ (პროექტი N DP2016_17).
- ინტერვიუ ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დეკანთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებელთან, უცხოელ პროფესორთან.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არის

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე კანდიდატების მოზიდვასა და მათ ჩართვას პროგრამაში. სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცესი ითვალისწინებს 4 ეტაპს: საბუთების მიღება, ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება, კვლევითი განაცხადის განხილვა და შეფასება დარგობრივი კომისიის მიერ, ზეპირი გამოცდა დარგობრივ კომისიასთან.

სადოქტორო პროგრამაზე მიიღებიან კანდიდატები, რომელთაც აქვთ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ბიოლოგიაში ან მონათესავე დარგში, ან მედიცინის დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი. კარგი იქნებოდა მეტი სიცხადისთვის დაკონკრეტდეს, თუ რომელი დარგები ითვლება ბიოლოგიის მომიჯნავედ და რომელი სპეციალობის, კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტს აქვს უფლება სწავლა გააგრძელოს სადოქტორო პროგრამაზე „უჯრედული ნეირომეცნიერება“.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის ფლობა. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს B2 დონის ფლობის დამადასტურებელი სერთიფიკატი ან ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა/ტესტირება ინგლისურ ენაში (ტესტის მინიმალური ბარიერია 51 ქულა), რომელიც მიუხედავად იმისა, რომ არ ითვალისწინებს დარგობრივი ინგლისური ენის ჩაბარებას და არის ზოგადი, დოქტორანტობის კანდიდატებისთვის რთულ გამოცდად ითვლება.

დოქტორანტობის კანდიდატი ავსებს სადოქტორო კვლევით განაცხადს. აღნიშნული განაცხადის შევსება ხდება მომავალ ხელმძღვანელთან ერთად, რომელთანაც დოქტორანტობის კანდიდატი განაცხადის შევსებამდე გადის კონსულტაციას, აკეთებს გარკვეულ მონახაზს სადოქტორო ნაშრომის თემატიკასთან და მომავალში შესასრულებელი

კვლევითი სამუშაოების შესახებ. სადოქტორო კვლევითი განაცხადის შევსების შემდეგ პოტენციური ხელმძღვანელი თანხმობას აცხადებს დოქტორანტობის კანდიდატს გაუწიოს ხელმძღვანელობა მისი სადოქტორო პროექტის განხორციელებისას, მისი დოქტორანტურაში ჩაბარების შემთხვევაში.

დარგობრივი კომისია, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, აფასებს სადოქტორო კვლევით განაცხადს. შეფასების კრიტერიუმები და წესი გამჭვირვალეა და ჩადებულია დოკუმენტში „სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა“. სადოქტორო პროგრამაზე მიღების ბოლო ეტაპია ზეპირი გამოცდა დარგობრივ კომისიასთან, რომელმაც უკვე შეაფასა კანდიდატის სადოქტორო კვლევითი განაცხადი. კანდიდატმა პრეზენტაციის სახით უნდა წარმოადგინოს თავისი სადოქტორო კვლევითი განაცხადი და აქტიურად ჩაერთოს პრეზენტაციის შემდეგ გამართულ დისკუსიაში. პრეზენტაციისა და დისკუსიის შეფასების კრიტერიუმები და წესი გამჭვირვალეა და მოცემულია ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტში.

სადოქტორო პროგრამებზე მიღების აღნიშნული წესი უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე დოქტორანტების ჩართვას პროგრამაში, რაც პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ეფექტურობას განსაზღვრავს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, დოქტორანტურის სტუდენტებთან, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთან.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კურიკულუმში სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში ფორმულირებაში „მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ბიოლოგიაში ან მონათესავე დარგში, ან მედიცინის დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი“ მონათესავე დარგების ჩამონათვალის დამატება. კარგი იქნებოდა მეტი სიცხადისთვის დაკონკრეტდეს, თუ რომელი დარგები ითვლება ბიოლოგიის მომიჯნავედ და რომელი სპეციალობის, კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტს აქვს უფლება სწავლა გააგრძელოს სადოქტორო პროგრამაზე „უჯრედული ნეირომეცნიერება“. ამ ჩამონათვალის დამატება პროგრამაზე მიღების წინაპირობებს გახდის უფრო გამჭვირვალეს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

☐ არ არის

შეფასება

☐ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს პროგრამის შემადგენელ კომპონენტებში სწორად შერჩეული სწავლების მეთოდები. დარგის/სადოქტორო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით თითოეული კომპონენტის სილაბუსებში/კონცეფციებში მითითებულია შესაბამისი სწავლების მეთოდები და ესენია: ვერბალური მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი, წერიტი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია, გონებრივი იერიში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია, კვლევითი მეთოდი, დამოუკიდებელი (ინდივიდუალური) მუშაობა. რას გულისხმობს თითოეული მათგანი: **ვერბალური მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადაცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში. **ლაბორატორიული მუშაობის მეთოდი** - გულისხმობს დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენებას, პედაგოგისა და სტუდენტის მიერ პრაქტიკული უნარის დემონსტრირებას და სხვა. **წერიტი მუშაობის მეთოდი** – გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: რეფერატის, ან ესეს შესრულება, ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა და ა.შ. **დემონსტრირების მეთოდი** – გულისხმობს ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას. მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. **დისკუსია** – არის საჯარო განხილვა ან ცოდნის, მსჯელობის, იდეების, აზრების, არგუმენტების

თავისუფალი, ვერბალური გაცვლა რაიმე პრობლემასთან, საკამათო საკითხთან დაკავშირებით. დისკუსიის დროს ხდება ურთიერთსაწინააღმდეგი აზრებისა და პოზიციების დაპირისპირება. დისკუსია უზრუნველყოფს ცოდნის აქტიურ, ღრმა და ინდივიდუალურ ათვისებას. აქტიური, მოტივირებული და ემოციური მსჯელობა, ოპონირება, არგუმენტირება სტუდენტს საშუალებას აძლევს გააზრებულად აითვისოს ცოდნა, მაგრამ ამავე დროს დააფიქროს თავის შეხედულებების გადახედვასა და ცოდნის განახლების აუცილებლობაზე. დისკუსია უკუგების კარგი შესაძლებლობაა, ის უზრუნველყოფს გავიგოთ, თუ რამდენად სწორად ესმის ჯგუფს მსჯელობის საგანი.

გონებრივი იერიში – დისკუსიის ყველაზე თავისუფალი ფორმაა და საშუალებას იძლევა საკითხის/ამოცანის განხილვის პროცესში სწრაფად ჩავრთოთ სტუდენტები. მათ უნდა გამოთქვან საკუთარი აზრები. შემდეგ, კრიტიკული ანალიზისა და შეფასების გზით ხდება გამოთქმული მოსაზრებების გენერაცია და სელექცია. შერჩეული მოსაზრებების საფუძველზე წყდება დასმული ამოცანა/საკითხი და/ან პრობლემა.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება – მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. სტუდენტები ახდენენ ძირითადი და მეორე ხარისხოვანი პრობლემების სელექციას და სახავენ პრობლემის გადაჭრის გზებს.

შემთხვევის ანალიზი – აღწერს ისეთ კონკრეტულ სიტუაციებსა და პრობლემებს, რომლებიც საჭიროებენ განსჯას.

დამოუკიდებელი მუშაობა – თითოეული სტუდენტი დამოუკიდებლად მუშაობს ლექტორის მიერ დასახული ამოცანის გადასაწყვეტად და დავალების შესრულების პროცესში პასუხისმგებელია საკუთარ თავთან და პედაგოგთან. დავალება წინასწარ დაგეგმილი კონკრეტულ დროისთვისაა შესასრულებელი და დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ დავალების ხარისხს, არამედ დროის მენეჯმენტსაც.

კვლევის მეთოდი – სტუდენტი ერთვება კვლევის პროცესში პედაგოგის ხელმძღვანელობით, განსაზღვრავს კვლევის საგანს, ობიექტს, მეთოდებს (თვისებრივი, რაოდენობრივი, სტატისტიკური, შედარებითი ანალიზის მეთოდები და/ან მათი კომბინაცია), ამუშავებს და აანალიზებს წყაროებს, შეიმუშავებს ხედვებს, მიდგომებს და აყალიბებს დასკვნებს.

აღნიშნული მეთოდების უმეტესობა თითქმის ყველა კომპონენტშია გამოყენებული და თუ გავითვალისწინებთ თითოეული მეთოდის არსს, ისინი იძლევიან პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევადობას როგორც სასწავლო, ისე კვლევით კომპონენტში. კერძოდ, ცოდნა და გაცნობიერება მიიღწევა ვერბალური მეთოდის, გონებრივი იერიშის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, შემთხვევის ანალიზის, დემონსტრირების მეთოდის, წერითი მუშაობის მეთოდის; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – გონებრივი იერიშის, შემთხვევის ანალიზის; დასკვნის უნარი – შემთხვევის ანალიზის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების; კომუნიკაციის უნარი – დისკუსიის, პრეზენტაციის დემონსტრირების მეთოდის; სწავლის უნარი – დამოუკიდებელი (ინდივიდუალური) მუშაობის; ღირებულებები – კვლევის მეთოდის, დისკუსიის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდების გამოყენებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ სადოქტორო პროგრამა ○ ინტერვიუ ფაკულტეტის წარმომადგენლებთან
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ მათზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის განსაზღვრული პროგრამის სტრუქტურაში. პროგრამის კომპონენტები ლოგიკურად ებმის ერთმანეთს და უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ზოგიერთ კომპონენტზე არსებობს დაშვების წინაპირობები, რაც ითვალისწინებს პროგრამაში შემავალი სხვა სასწავლო კურსის გავლას. წინაპირობების არსებობა წინასწარ ცნობილია სტუდენტისთვის პროგრამის აღწერიდან და ასევე შესაბამისი კურსის სილაბუსიდან, რომელიც განთავსებულია არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონულ სისტემა „არგუსში“. პროგრამაში გათვალისწინებულია დოქტორანტის მიერ კრედიტების გარეშე სამაგისტრო საფეხურიდან აღდგენითი კურსების გავლა, რაც ხელს შეუწყობს დოქტორანტურაში დოქტორანტის მიერ რიგი კომპონენტების უკეთ ათვისებას.

კვლევითი კომპონენტის 120 კრედიტი სადოქტორო ნაშრომის შესრულებაზე, ნაშრომის წარდგენასა და დაცვაზე განკუთვნილი. სადოქტორო ნაშრომი იქმნება სადოქტორო პროგრამის განმავლობაში და მისი მიზანია, გამოავლინოს დოქტორანტის მიერ უახლეს მიღწევებზე დამყარებული საკვლევო პრობლემის/საკითხის ცოდნა, მისი უნარი გააცნობიეროს ახალი ცოდნის შექმნის შესაძლებლობები და საკვლევო მიმართულებით არსებული ცოდნის გაფართოების პერსპექტივები. ნაშრომი ასევე მიზნად ისახავს განავითაროს დოქტორანტის მიერ ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი. მნიშვნელოვანია, რომ სადოქტორო ნაშრომის საშუალებით დოქტორანტს აქვს შესაძლებლობა სამეცნიერო კომუნიკაციის ნორმების დაცვით წარადგინოს კვლევის შედეგები და დაასაბუთოს ახალი ცოდნის მნიშვნელობა საკვლევო მიმართულების განვითარებაში.

სადოქტორო ნაშრომის მომზადება და დაცვა თანმიმდევრული და შედეგზე ორიენტირებული პროცესია, რომლის ინიცირება ხდება დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტის და მოთხოვნის შესრულებისთანავე. დოქტორანტი ხელმძღვანელთან ათანხმებს სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის გეგმას და ამის შემდეგ იწყებს ამ გეგმის განხორციელებას. დოქტორანტს სადოქტორო ნაშრომის დაცვამდე მოეთხოვება საერთაშორისო რეცენზირებად თემატურ ჟურნალში მინიმუმ ორი პუბლიკაციის გამოქვეყნება. შემდეგი ეტაპები მოიცავს: დოქტორანტის მიერ შუალედური ნაშრომის წარდგენას ხელმძღვანელისთვის /ხელმძღვანელებისთვის შეფასებისთვის; ხელმძღვანელის/ ხელმძღვანელების მიერ ნაშრომის წარდგინებას; სადისერტაციო საბჭოსა და რეცენზენტების (მინიმუმ ორი) განსაზღვრას უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დარგობრივი კომისიის წარდგინებით; სადოქტორო ნაშრომის შეფასებას სადისერტაციო საბჭოსა და რეცენზენტების მიერ; საჯარო დაცვას სადისერტაციო საბჭოს წინაშე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არის

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო კურსებში განაწილებულია შუალედურ შეფასებად – 70 ქულა და დასკვნით შეფასებად – 30 ქულა. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასება (კომპონენტი შუალედური გამოცდა) – 36 ქულა, ხოლო დასკვნითი – 15 ქულა. რაც შეეხება შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე შეფასების ფორმებს, კომპონენტებს, მეთოდებს, კრიტერიუმებსა და შეფასების რუბრიკას, იგი დეტალურადაა გაწერილი სასწავლო კომპონენტის შემადგენელი კურსების სილაბუსებში და უზრუნველყოფს კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. 100 ქულიანი სისტემით ფასდება სადოქტორო სემინარი I და სადოქტორო სემინარი II, კვლევითი სემინარი და ასისტირება. შეფასების კომპონენტები, კრიტერიუმები და რუბრიკა გამჭვირვალეა და დეტალურადაა გაწერილი თითოეული მათგანის სილაბუსში. სტუდენტის შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის აღნიშნულ კომპონენტებში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სადოქტორო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად. შეფასებისას გამოიყენება კვლევითი კომპონენტის შედეგების შეფასებისთვის რელევანტური მეთოდები და კრიტერიუმები, რომლებიც ჩადებულია პროგრამაში სადოქტორო ნაშრომის კონცენფციაში. თითოეული სტუდენტის შეფასების მონაცემები განთავსდება შიდასაუნივერსიტეტო არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონულ სისტემა „არგუსში“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o პროგრამაში შემავალი აკადემიური კურსების სილაბუსები/კონცეფციები
- o არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“

○ ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, დეკანთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“-თ სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისას სტუდენტს შესაძლებლობა აქვს თავიდანვე გაეცნოს სილაბუსებს/კონცეფციებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები, კრიტერიუმები და მეთოდები. კურსის მიმდინარეობის მანძილზე სტუდენტს საშუალება აქვს, არგუსითვე ადევნოს თვალი თავის მიმდინარე შეფასებებს და დროული რეაგირება მოახდინოს მიღწეულ შედეგებზე. „არგუსი“ იძლევა აგრეთვე, ლექტორსა და სტუდენტს შორის ეფექტური და იოლი კომუნიკაციის შესაძლებლობას, რაც

ლექტორებს საშუალებას აძლევს, მეტი წერილობითი უკუკავშირი მისცეს სტუდენტს კურსის ფაგრლებში მის მიერ გაწეული სამუშაოს, მიღწეული შედეგებისა და ნაკლოვანებების შესახებ. თითოეული კურსის/კომპონენტის სილაბუსში/კონცეფციებში გაწერილია შეფასების კომპონენტები, შეფასების ძირითადი მეთოდები და თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები, რაც შეფასების პროცესს გამჭვირვალეს ხდის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა ○ ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი ○ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან ○ შიდასაუნივერსიტეტო არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტი იღებს საჭირო ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვისთვის და მომავალში სასწავლო და კვლევით კომპონენტში მიღწეული შედეგების გაუმჯობესებისთვის. პროგრამაზე ახალჩარიცხულ სტუდენტებს უფორმდებათ ხელშეკრულებები, სადაც დეტალურადაა ასახული სწავლის პირობები და მხარეთა ვალდებულებები. სტუდენტების ჩართვა საინფორმაციო ქსელებში ხდება პირველივე დღეებიდანვე, რათა სრულფასოვნად იყვნენ ჩართულნი შიდასაუნივერსიტეტო საინფორმაციო სივრცეში და დაუბრკოლებლად მიეწოდოთ ნებისმიერი ინფორმაცია დაკავშირებული სასწავლო პროცესთან. ფაკულტეტზე ყველა მიმართულებას ჰყავს კოორდინატორი, რომელსაც აქტიური კავშირი აქვს მიმართულების სტუდენტებთან. სტუდენტს შეუძლია პროგრამის კოორდინატორთან კონსულტაციის გავლა პირადად, ასევე ელექტრონული ფოსტით, არგუსით და ტელეფონით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სისტემატურად მართავს ტრენინგებს უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემისა და რესურსების მოხმარების საკითხებზე. ინფორმაცია რეგულარულად თავსდება ვებგვერდზე და ეგზავნება სტუდენტებს ელექტრონულ ფოსტაზე. ლექტორთან ინდივიდუალური კონსულტაციები ინიშნება სტუდენტის მხრიდან შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში.

დოქტორანტი ჯერ კიდევ პროგრამაში ჩარიცხვამდე გადის კონსულტაციას მომავალ ხელმძღვანელთან, ადგენს სადოქტორო კვლევითი ნაშრომის თემატიკას და სავარაუდო სამოქმედო გეგმას. კვლევითი კომპონენტის დაგეგმვა კვლევის შედეგებზეა დამოკიდებული, ამიტომ ხშირად ვერ ხერხდება დაგეგმილი ეტაპების იმ ვადებში გავლა, რაც წინასწარ არის განსაზღვრული სამუშაო გეგმაში. ხელმძღვანელთან კონსულტაციებით

დოქტორანტი თავიდან იცილებს კვლევებთან დაკავშირებულ რისკებს და აღწევს სასურველ შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ გვერდი www.iliauni.edu.ge
- არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლების პირადი საქმეები - ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში
- სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუ ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებთან.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არის

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური ხასიათის მუშაობა სტუდენტის პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე. პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე კვლევითი განაცხადის საფუძველზე დოქტორანტობის კანდიდატი სადოქტორო პროექტზე მუშაობის ფარგლებში ირჩევს სამეცნიერო

ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს, რომელიც უზრუნველყოფს კანდიდატის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში მის ხელმძღვანელობას და ხელშეწყობას, როგორც სწავლების, ასევე კვლევით პროცესებში.

არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსში", თითოეულ სტუდენტს და ლექტორს გააჩნია ინდივიდუალური გვერდები/პროფილები, რაც წარმოადგენს კომუნიკაციის ეფექტურ საშუალებას, რომლის მეშვეობით სტუდენტს ეძლევა საშუალება შესაბამის ლექტორთან კონსულტაცია გაიაროს ონლაინ რეჟიმში. ამასთან ერთად, კურსების სილაბუსების დოკუმენტებში მითითებულია კომპონენტის განმახორციელებლის (ლექტორის, პროფესორის) საკონტაქტო ინფორმაცია, რაც ასევე აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას ინდივიდუალურად შეათანხმოს შეხვედრა ლექტორთან/პროფესორთან ან მასთან ონლაინ კონსულტაცია გაიაროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები/კონცეფციები
- ინტერვიუ ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთან, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან, ამავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არის

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი, საკუთარი მისიიდან გამომდინარე, მოწოდებულია და მახარსუჭერს სტუდენტების აქტიურ ჩართვას უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევითი პროექტების განხორციელებაში. ამჟამად სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების პროგრამის დოქტორანტები, როგორც თანამშრომლები, მკვლევარები ჩართული არიან ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებაში. მათი პუბლიკაციები კვლევებში მონაწილე აკადემიური პერსონალის თანაავტორობით იბეჭდება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მზადაა სადოქტორო პროგრამის „უჯრედული ნეირომეცნიერება“ დოქტორანტების ასევე ჩართოს იმ კვლევითი პროექტების განხორციელებაში, რომლებიც სრულდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტი მოწოდებულია განავითაროს კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტი სასწავლო პროგრამებში. სწორედ ამიტომ სადოქტორო პროგრამა „უჯრედული ნეირომეცნიერება“ ორიენტირებულია თეორიულ ცოდნის მიცემასთან ერთად პრაქტიკული უნარების განვითარებაზე.

პროგრამის ფარგლებში, დოქტორანტებს საშუალება ექნებათ გაეცნონ თანამედროვე კვლევით სტრატეგიებს და კვლევის ნაწილი ჩაატარონ უცხოეთის თანამედროვე ნანობიოლოგიურ ლაბორატორიებში. ეს აქტივობაც მხარდაჭერილია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების მონაწილეობას კურიკულუმისგან დამოუკიდებელ აქტივობებში, სტუდენტური სერვის-ცენტრის ხელშეწყობით შექმნილია (და ყოველწლიურად დამატებით იქმნება) სხვადასხვა კლუბი, სადაც ყველა სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებელი ინიციატივის განხორციელება. უნივერსიტეტში ფუქციონირებს „სამეცნიერო კაფე“, სადაც პერიოდულად ტარდება საჯარო ლექციები აქტუალურ თემებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა;
- სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი
- მხარდაჭერის წერილი
- პროგრამა დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ (პროექტი N DP2016_17).
- ინტერვიუ სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებთან

რეკომენდაციები:
☐ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
☐ არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
☐ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
☐ არ არის
შეფასება ☐ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამით გათვალისწინებულია მაღალინფორმაციული მიდგომების გამოყენებით და უახლეს სამეცნიერო ცოდნაზე დამყარებული სწავლება. პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტებთან დაკავშირებით, სისტემატურად იწარმოებს კონსულტაციები უცხოელ ექსპერტებთან – პროგრამის ოფიციალურ კონსულტანტებთან აშშ-დან და შვეიცარიიდან – აღნიშნული კომპონენტების მუდმივი დახვეწის მიზნით. ისინი უშუალოდ ჩაერთვებიან სასწავლო სასწავლო კომპონენტის ორი კურსის „ნაწილობრივი ძირითადი მიდგომები“ და „სტრუქტურული ნეირომეცნიერებები“ განხორციელებაში. პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტების მივლინებებს საზღვარგარეთ პროგრამის უცხოელი კონსულტანტების ლაბორატორიებში თანამედროვე კვლევითი ტენდენციების გასაცნობად და კვლევების ნაწილის ჩასატარებლად (მგზავრობის ხარჯები გაწერილია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ბიუჯეტში). პროგრამაში ჩართული პროფესორები და მოწვეული ლექტორები მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო კონფერენციებში და აქვეყნებენ ნაშრომებს საერთაშორისო პერიოდულ

გამოცემებში, თანამშრომლობენ საზღვარგარეთის უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან და მონაწილეობენ სხვადასხვა კვლევასა თუ პროექტებში. აღსანიშნავია, რომ პროგრამა შემუშავდა საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციებისა და უკუკავშირის გათვალისწინებით.

პროგრამის მოთხოვნებით გათვალისწინებულია იმპაქტ ფაქტორის მქონე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციების მომზადება ცოდნის დისემინაციის მიზნით, რაც უზრუნველყოფს, ერთის მხრივ, პროგრამის ფარგლებში შექმნილი ახალი ცოდნის ვალიდობას, ხოლო მეორეს მხრივ, წარმოადგენს პროგრამის შედეგების ინტერნაციონალიზაციას. დოქტორანტს სადოქტორო ნაშრომის დაცვამდე მოეთხოვება საერთაშორისო რეცენზირებად თემატურ ჟურნალში მინიმუმ ორი პუბლიკაციის გამოქვეყნება. ერთი პუბლიკაციის მომზადებას და გამოქვეყნებას სჭირდება დაახლოებით 2 წელი. იმპაქტ ფაქტორის მქონე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში დოქტორანტის მიერ პუბლიკაციების გამოქვეყნება ფინანსდება პროგრამის ფარგლებში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით.

დოქტორანტებისთვის ასევე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდი, სადაც მოცემულია ნეირომეცნიერების დარგთან დაკავშირებული სხვადასხვა მასალები და სახელმძღვანელოები. საერთაშორისო ელექტრონული ბაზების გამოყენებით დოქტორანტები სარგებლობენ საერთაშორისო ელექტრონულ ჟურნალებზე უფასო წვდომით. პროგრამის სუსტ მხარედ ქართულენოვანი ლიტერატურის არარსებობა მიჩნეული. ამ საკითხის მოგვარებისთვის იგეგმება დოქტორანტების დახმარებით შესაბამისი ქართულენოვანი ლიტერატურის შექმნა საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში მოძიებული მასალების გამოყენებით. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მზადაა აქტიურად ჩაერთოს ამ პროცესში.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს დიდი მიზნები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაფართოებასთან დაკავშირებით. ის ამ ეტაპზე მხოლოდ საუბრობს ამის შესახებ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რომლებიც მზად არიან აქტიურად ჩაერთონ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა
- პროგრამა დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ (პროექტი N DP2016_17).
- მხარდაჭერის წერილი
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, Skype-ით უცხოელ პროფესორთან, სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან და ამავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია არსებული სალექციო აუდიტორიებით, კვლევითი ლაბორატორიებით, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით, სტუდენტის რეგისტრაციისა და არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემით "არგუსი", უნივერსიტეტში ინტეგრირებული სხვადასხვა პროგრამული პაკეტებით (Turnitin, Moodle), უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტებითა და კვლევითი ცენტრებით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტს აქვს დიდი მატერიალური ბაზა, რომელიც გამოიყენება სამეცნიერო კვლევებში. სწორედ ამ ბაზაზე განხორციელდება სადოქტორო პროგრამა „უჯრედული ნეირომეცნიერება“. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სასწავლო კომპონენტში უზრუნველყოფილი იქნება ფაკულტეტზე არსებული სალექციო და კომპიუტერული სივრცეების გამოყენებით, ბიბლიოთეკის ფონდით და საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით. სადოქტორო ნაშრომისთვის კვლევები განხორციელდება ფაკულტეტზე არსებულ ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტში, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ლაბორატორიული მოწყობილობებით და ყველა პირობაა შექმნილი დოქტორანტისთვის, რომ მან შეძლოს კვლევების წარმოება და შედეგზე გასვლა.

კვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი შესრულდება ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში, სადაც ყველა რესურსია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერიმენტული ნაწილის განსახორციელებლად, კვლევის თანამედროვე დონეზე ჩატარებისთვის. ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს დოქტორანტებთან მემორანდუმის ფარგლებში.

პროგრამა მხარდაჭერილია შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსი"
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა
- მატერიალური რესურსების სამსახურში არსებული დოკუმენტაცია
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრთან
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტი N DP2016_17
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებელთან, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთან, სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებთან სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან და ამავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:
☐ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
☐ არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
☐ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
☐ არ არის
შეფასება
☐ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლებლის შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (2 პროფესორი და 4 ასოცირებული პროფესორი), ასევე 2 უცხოელი კონსულტანტი (პროფესორები აშშ-დან და შვეიცარიიდან). აკადემიური პერსონალის ეს რაოდენობა მისაღები სტუდენტების რაოდენობასთან (3 დოქტორანტი) შესაბამისობაშია. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვთ ნაშრომი/მონოგრაფია/სტატია და ეს ნაშრომები შებამისობაშია მათ მიერ შეთავაზებული კომპონენტების დარგობრივ კომპეტენციებთან. პროგრამის ხელმძღვანელი არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორი მზია ჟვანია. მისი კვალიფიკაციაა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (სპეციალობით „უჯრედის ბიოლოგია“). ის ასევე არის

ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის „თავის ტვინის ულტრასტრუქტურის და ნაწარქიეტონიკის“ ლაბორატორიის გამგე. აქტიურად ეწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და კვლევების შედეგები სამეცნიერო სტატიების სახით იბეჭდება რეფერირებად ჟურნალებსა და უცხოურ გამოცემებში (80-ზე მეტი სამეცნიერო სტატია), მონაწილეობს სამეცნიერო კონგრესებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და თავადაც არის საერთაშორისო სემინარების, ვორკშოპების და სიმპოზიუმების ორგანიზატორი ან თანაორგანიზატორი. სხვადასხვა წლებში მონაწილეობდა სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში და ერთ-ერთი ასეთი პროექტია სადოქტორო პროგრამა „უჯრედული ნეირომეცნიერება“, დაფინანსებული შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ. კითხულობს ფაკულტეტზე მოქმედ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში კვალიფიკაციის შესაბამის კურსებს და ხელმძღვანელობს სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებს. არის სხვადასხვა საზოგადოების წევრი (IBRO (International Brain Research Organization), FENS (Federation of European neuroscience society), GNA (Georgian Neuroscience Association), Member of Georgian Biochemical Association და სხვა.). სადოქტორო პროგრამაში „უჯრედული ნეირომეცნიერება“ ის გაუძღვება სასწავლო კომპონენტში რამდენიმე სასწავლო კურსს უცხოელ კონსულტანტებთან ერთად, ასევე იქნება სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელი.

რაც შეეხება პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს, რომლებიც გაუძღვებიან პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს. ისინი არიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირები, კერძოდ, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები (სპეციალობებით - „მოლეკულური ნეირომეცნიერებები“, „ნეიროქიმია“, „ბიოქიმია“ და სხვა). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორ (რევაზ როსტომია) და ასოცირებული პროფესორები (თამარ ლორთქიფანიძე, თამარ ბარბაქაძე, ლალი შანშიაშვილი, სოფიკო ლობჯანიძე), რომელთა მოვალეობებია სამეცნიერო კვლევა და ჯგუფის ხელმძღვანელობა, ექსპერიმენტის დაგეგმვა და განხორციელება, ექსპერიმენტების შედეგების დამუშავება, სტატიების მომზადება გამოსაქვეყნებლად, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების ხელმძღვანელობა, სალექციო კურსების მომზადება ბაკალავრების, დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისათვის. პროგრამის აკადემიური პერსონალი ასევე არის ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი. თითოეული მათგანი არის არაერთი სამეცნიერო სტატიის ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია იმფაქტ ფაქტორის მქონე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში, სხვადასხვა წლებში მონაწილეობდნენ სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებაში.

პროგრამაში ჩართულია 2 უცხოელი კონსულტანტი (ნაწარქიეტონიკები აშშ-დან - ბანუ ჯენა და შვეიცარიიდან - სანდორ კაზასი). ისინი მოწვეული იქნებიან პროგრამაში სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განსახორციელებლად. იგეგმება როგორც მათი ჩამოსვლა და ლექციების წაკითხვა, ასევე დოქტორანტების წასვლა ლასანის და უიენის (Wayne) სახელმწიფო უნივერსიტეტებში (დაფინანსდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ) და სადოქტორო ნაშრომის გარკვეული ნაწილის შესაბამის

ლაბორატორიებში შესრულება. პირადი მონაცემები გვიჩვენებს, რომ ისინი არიან მაღალკვალიფიციური მკვლევარები და კომპეტენტური პროგრამის შესაბამისი კომპონენტების განხორციელებისთვის.

სანდორ კაზასი ლასანის უნივერსიტეტის მორფოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორია, მედიცინის დოქტორი. მისი სამეცნიერო სტატიები ნანოტექნოლოგებში, ატომურ-მაღოვან მიკროსკოპიაში და სხვა გამოქვეყნებულია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში. სხვადასხვა წლებში მონაწილეობდა სამეცნიერო-კვლევით გრანტების განხორციელებაში და არის 2 გამოგონების ავტორი. ბანუ ჯენა უიენის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ფიზიოლოგიის დეპარტამენტის პროფესორია, რომელსაც გავლილი აქვს ტრენინგები უჯრედის ბიოლოგიაში იელის უნივერსიტეტში, არის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მონაწილე და მისი სამეცნიერო შრომები ასევე გამოქვეყნებულია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში.

სადოქტორო პროგრამის „უჯრედული ნეირომეცნიერება“ განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და კონსულტანტების კვალიფიკაცია და კომპეტენციები უზრუნველყოფს პროგრამის შედეგებზე გასვლას და პროგრამის მიზნის – მოამზადოს ახალი თაობის მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ ახალი ცოდნის შექმნას უჯრედის ნეირომეცნიერების დარგში – მიღწევადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაცემები
- გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არის

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ხელშეწყობილია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამების და მათ შორის სადოქტორო პროგრამის „უჯრედული ნეირომეცნიერება“ ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი, რომლის ადმინისტრაციას და დამხმარე პერსონალს წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი, დეკანის თანაშემწე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები, კოორდინატორები. ისინი ასისტირებას უწევენ ფაკულტეტის საბჭოს, დარგობრივ კომისიებსა და დეკანს პროგრამულ საკითხებზე. ასევე, კონსულტაციას უწევენ სტუდენტებს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში. ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს სასწავლო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას. საკონსულტაციო საბჭო სასწავლო პროგრამების შინაარსობრივ მომზადებაზეა პასუხისმგებელი. პროგრამების კოორდინატორი ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად სასწავლო პროგრამების საბოლოო დახვეწას, განვითარებას უზრუნველყოფს. რაც შეეხება დარგობრივ კომისიას ის იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც უკავშირდება: დოქტორანტურაში მიღებასთან და სწავლასთან დაკავშირებულ საკითხებს; დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველების განაცხადების განხილვასა და შეფასებას, სააპელაციო განაცხადებების განხილვას, გასაუბრებას; პროსპექტუსის (ან პორტფოლიოს მონახაზის) განხილვასა და დაცვას; სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატთა სიის წარდგენას, დეკანის მეშვეობით, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის; სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის რეცენზენტების შერჩევასა და მათი აკადემიური საბჭოსათვის დეკანის მეშვეობით წარდგენას; დოქტორანტის საერთაშორისო პუბლიკაციის შესაბამისობის დადგენას მის სადისერტაციო თემასთან; დოქტორანტის მიერ ხელმძღვანელის შეცვლის ან ხელმძღვანელის მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე უარის განცხადების განხილვას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და დამხმარე პერსონალს წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი, დეკანის თანაშემწე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები, კოორდინატორები. პირები, რომლებიც იკავებენ აღნიშნულ პოზიციებს, არიან კომპეტენტური დაკისრებული ვალდებულებების განხორციელებაში, რაც არის უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის გამართულად მიმდინარეობის საფუძველი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და საინჟინრო ფაკულტეტის დებულება ○ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მონაცემები ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო მასალა უახლეს ბეჭდურ და ელექტრონულ გამოცემებს, კომპიუტერულ პროგრამებსა და ონლაინ რესურსებს წარმოადგენს, ეს რესურსები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ ბიბლიოთეკაში და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ბიბლიოთეკა 8 სამკითხველო და 2 კომპიუტერული დარბაზით ემსახურება განათლების ყველა საფეხურის სტუდენტს. ბიბლიოთეკის მრავალფეროვანი ფონდი მოიცავს სხვადასხვა ენაზე შესრულებულ 2 მილიონამდე მონოგრაფიას, სახელმძღვანელოს, პერიოდულ გამოცემას, ელექტრონულ რესურსს და ა.შ. ის მომხმარებელს სთავაზობს მრავალფეროვან სერვისებს და მაქსიმალურად ხელმისაწვდომს და ადვილად გამოყენებადს ხდის საინფორმაციო რესურსებს. ბიბლიოთეკა სტუდენტებს სთავაზობს მსოფლიოში ცნობილ აკადემიურ ბაზებს, ასევე ინდექსებისა და აბსტრაქტების ბაზებს,

ელექტრონულ ბიბლიოთეკებსა და სხვა ინსტრუმენტებს, რომელთა საშუალებითაც უზრუნველყოფს მაღალი დონის კვლევის ჩატარებას და ხარისხიანი სწავლების განხორციელებას. ელექტრონულ ბიბლიოთეკაში არსებული სამეცნიერო ბაზები, ელექტრონული წიგნები, რიდერები, ჟურნალები, აუდიო და ვიდეო საცავი სტუდენტს საშუალებას აძლევს გაეცნოს მიმართულებაში/დარგში არსებულ მიღწევებს, მოიძიოს უახლესი სასწავლო მასალა და ამ მასალის გამოყენებით უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა. ბიბლიოთეკაში არსებული ბაზები დოქტორანტს საშუალებას აძლევს მოიპოვოს საკვლევ თემასთან დაკავშირებული რელევანტური ლიტერატურა/წყაროები, რათა შეძლოს ლიტერატურის მიმოხილვის რუკის/სქემის, ბიბლიოგრაფიის შექმნა. ინტერვიუებისას პროგრამის ხელმძღვანელმა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ პროგრამის სუსტი მხარე ქართულენოვანი ლიტერატურის არ არსებობაა. თუმცა დოქტორანტებთან ეს პრობლემა მოგვარებადია, რადგან პროგრამაზე მიღების ერთ-ერთი წინაპირობა ინგლისური ენის B2 დონის ფლობაა და შესაბამისად მათ შეუძლიათ ინგლისურენოვან ლიტერატურაზე მუშაობა. თუმცა სასურველია პედაგოგების მიერ მოხდეს სტუდენტების უზრუნველყოფა სალექციო მასალით, ამასთან, ჩატარდეს ინტენსიური სამუშაოები ქართულენოვანი ლიტერატურის შესაქმნელად და ამ პროცესში აქტიურად იყოს ჩართული დოქტორანტიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდი და საერთაშორისო ელექტრონული ბაზები <http://library.iliauni.edu.ge/>;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი კურსების სილაბუსები - ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა არგუსში <http://argus.iliauni.edu.ge/>.
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის - ბიბლიოთეკის დათვალიერება. ინტერვიუ ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან.
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ვინაიდან ქართული ლიტერატურა ფაქტობრივად არ არსებობს, პედაგოგების მიერ მოხდეს სტუდენტების უზრუნველყოფა სალექციო მასალით, ამასთან, ჩატარდეს ინტენსიური სამუშაოები ქართულენოვანი ლიტერატურის შესაქმნელად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ არ არის შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ (პროექტი N DP2016_17), რაც გულისხმობს გარკვეული თანხის გამოყოფას დოქტორანტის მიერ სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად. ასევე პროგრამის უზრუნველყოფისთვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია უნივერსიტეტისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის ერთიან ბიუჯეტში. შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის პროექტით გამოყოფილია 350000 ლარი. პროექტი ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანადაფინანსებით, კერძოდ, თანხის 80% გამოყოფს ფონდი, დანარჩენ 20% კი უნივერსიტეტი. პროექტი გრძელდება 4 წელი. პროგრამის ფინანსური მდგრადობისთვის ადმინისტრაცია და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პრესონალი გეგმავს შემდგომში საერთაშორისო პროექტების, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული პროექტების და საუნივერსიტეტო გრანტების მოპოვებას. ე.ი. ყველა შესაძლო ფინანსური რესურსის მოზიდვას, რათა შეძლოს პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა და ძვირადღირებული კვლევების წარმოება. მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი ○ პროგრამა დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ (პროექტი N DP2016_17) ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან რეკომენდაციები: ○ არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს “დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე” ციკლს სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესების ხარისხის ამაღლებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, კერძოდ, ის შეიმუშავებს პროცესების ხარისხის
--

შეფასებისთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და მეთოდებს, უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარების გზით.

პროგრამების და მათი კომპონენტების შეფასების მიზნებისთვის გამოიყენება ელექტრონულ სისტემაში „არგუსი“ ინტეგრირებული პროგრამული პაკეტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება უნივერსიტეტის პროგრამებში ჩართული მაქსიმალური რაოდენობის სტუდენტთა გამოკითხვების ჩატარება ონლაინ რეჟიმში. შეფასების შედეგები და ამ შედეგების ანალიზის შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაკეთებული დასკვნები ხელმისაწვდომი ხდება როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის, ასევე პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალისთვის, რაც იძლევა პროგრამის სუსტი მხარეების გასწორების და პროგრამის განხორციელების გაუმჯობესების მიზნით ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ახდენს პროგრამების კომპლექსურ შემოწმებას, რომელიც გარდა სტუდენტების გამოკითხვისა, ასევე ითვალისწინებს კურსდამთავრებულების და დამსაქმებლის გამოკითხვას. გამოკითხვისას ფოკუსირება ხდება პროგრამის ეფექტურობაზე კარიერის დაწყებისა და განვითარებისთვის, ფასდება კურსდამთავრებულთა კმაყოფილება გავლილი აკადემიური პროგრამით. დამსაქმებლის გამოკითხვისას აქცენტს აკეთებს, თუ რამდენადაა დასაქმების ბაზარი კმაყოფილი უნივერსიტეტის, კონკრეტული პროგრამის მიერ მომზადებული კადრით და რამდენად კვალიფიციურად მიიჩნევს მას და კონკურენტუნარიანია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველ წელიწადნახევარში პროგრამის ხელმძღვანელს ავალებს ანგარიშს პროგრამის კომპონენტების განხორციელების შესახებ, რათა შეაფასოს პროგრამის მუშაობის ეფექტურობა და საჭიროების შემთხვევაში დაგეგმოს მისი განვითარების გზები.

სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლის გამოკითხვით მიღებული ინფორმაციის გამოყენებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს პროგრამის შეფასებას და მოპოვებული მონაცემების საფუძველზე წერს რეკომენდაციებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებელთან ერთად ქმნის პროგრამის შემდგომი განვითარებისა და გაფართოების სტრატეგიულ გეგმას, რომელიც ითვალისწინებს „დაგეგმა-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრების დრო გამოიკვეთა ახალი გარემოებები, კერძოდ, მათ ისაუბრეს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ახალი სტანდარტების შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარებაზე, ხარისხის კულტურის დამკვიდრებაზე და სხვა.

სადოქტორო პროგრამა „უჯრედული ნეირომეცნიერება“ ახალი პროგრამაა, ამიტომ ვერ განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის „დაგეგმა-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“

ციკლი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად იყო ჩართული პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებელთან ერთად პროგრამის დაგეგმვის პროცესში, კერძოდ, უზრუნველყო პროგრამის მიზნების უნივერსიტეტის მისიასთან და სწვალის შედეგების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კლასიფიკაციის აღმწერთან შესაბამისობა, ასევე პროგრამის სტრუქტურის შექმნა და კრედიტების განაწილება, თითოეულ კომპონენტში შეფასების სისტემის სრულყოფა. სამსახურმა ჯგუფთან ერთად აქტიურად იმუშავა თვითშეფასების კითხვარის შევსებაზე და თანდართული დოკუმენტაციის მომზადებაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყო პროგრამის კურიკულუმისა და სილაბუსების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო ფორმები, კითხვარები;
- არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და საინჟინრო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და სამსახურის სპეციალისტებთან.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არის

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის შიგა და გარე მექანიზმები უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები მიღწევის გასაუმჯობესებლად. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შიდა მექანიზმები ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას. ის ეფუძნება სისტემატიურ ანალიზს პროგრამის შინაარსის, მასთან დაკავშირებული პროცესების და სტუდენტების მიღწევების შესახებ. პროგრამის მრავალმხრივი შეფასების მიზნით გამოიყენება სტუდენტების სისტემატიური გამოკითხვები/ფოკუს-ჯგუფები, რომლებშიც ვლინდება სტუდენტების შეფასება პროგრამის შინაარსსა და მის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის შემუშავებული აქვს კითხვარები, რომელთა გამოყენებით ის აწარმოებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიზნობრივ გამოკითხვებს. კითხვარების გამოყენებით ის ამოწმებს რამდენად მოსწონს სტუდენტს უნივერსიტეტში არსებული სასწავლო გარემო, რამდენად გამჭვირვალეა სასწავლო კურსებში ჩადებული შეფასების წესები, გამართულია სწავლების მეთოდები და კურსის გავლის შემდეგ გადის დაგეგმილ შედეგებზე, რამდენად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული რესურსები და ა.შ. ჩატარებული კვლევების შედეგები გათვალისწინებული იქნება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად, პროგრამის განსაახლებლად, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მუშაობის უკეთ დასაგეგმად, პროგრამაში სასწავლო და კვლევით კომპონენტში არსებული ნაკლოვანებების გასასწორებლად. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამის შეფასების პროცესში შესაძლებელია ჩაერთოს სხვადასხვა დაინტერესებული მხარე (მაგ. დარგის ადგილობრივი ან საერთაშორისო ექსპერტი, პარტნიორი ორგანიზაცია, დამსაქმებელი და ა.შ.). პროგრამის გარე შეფასება ხორციელდება ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის/ უნივერსიტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის ფარგლებში. გარე შეფასების შედეგები ასევე გათვალისწინებულია პროგრამის განვითარებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის შემუშავებული კითხვარები;
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;

○ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“ ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და საინჟინრო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და სამსახურის სპეციალისტებთან.
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში) არ არსებობს

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: უჯრედული ნეირომეცნიერება

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 47

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X		
საბოლოო შეფასება	X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

6.05.21

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: უჯრედული ნეირომეცნიერება

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 47

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X		
საბოლოო შეფასება	X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:


ა. ბილიაშვილი